

ნატო და საქართველო

საქართველო ნატოს ასპირანტი ქვეყანაა. 2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართულ სამიტზე ალიანსის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. ეს გადაწყვეტილება ნატოს შემდგომ სამიტებზეც დადასტურდა.

ნატო-საქართველოს კომისია წარმოადგენს პოლიტიკური კონსულტაციების ფორუმს, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის განხორციელებას.

2008 წლიდან, საქართველო ნატოს მოკავშირეებს ყოველწლიურად წარუდგენს წლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ რეფორმებს საქართველოს ევრო-ატლანტიკური მიზნების მისაღწევად. წლიური ეროვნული პროგრამის საფუძველზე, ნატო მიზანმიმართულ და ამომწურავ კონსულტაციებს უწევს საქართველოს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სექტორში რეფორმების გატარების მიზნით.

თბილისში ნატოს სამოკავშირეო ოფისი უზრუნველყოფს კავშირს საქართველოს მთავრობასთან. ის ასევე ინარჩუნებს კონტაქტს არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან, მხარს უჭერს სახალხო დიპლომატიას და დახმარებას უწევს საქართველოს რეფორმების გატარებაში.

ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი

ნატო საქართველოს დახმარებას უწევს ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს აამაღლოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა და მისი უნარი იმუშაოს ნატოს ძალების მხარდამხარ, ასევე დაეხმაროს საქართველოს დაწინაურდეს ალიანსში გაწევრიანებისთვის მზადების პროცესში. ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი ალიანსის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ 2014 წელს, ნატო-ს უელსის სამიტზე დამტკიცდა. ამჟამად 14 სფეროში, მათ შორის ლოგისტიკისა და დაგეგმვის, ასევე კიბერ თავდაცვის სფეროში სწავლების მიმართულებით, საქართველოს კონსულტაციებითა და ტრენინგებით უზრუნველყოფს ნატოს მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნების დაახლოებით 37 რეზიდენტი და არა-რეზიდენტი ექსპერტი,

არსებით ღონისძიებათა პაკეტის ერთ-ერთ მთავარ ინიციატივას წარმოადგენს ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი, რომელიც თბილისში, 2015 წლის აგვისტოში დაფუძნდა და საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის რეფორმირებაში, მოდერნიზებასა და გაძლიერებაში ეხმარება. ცენტრი უზრუნველყოფს მრავალეროვნული წვრთნისა და სწავლების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს თანამშრომლობის განმტკიცებას საქართველოს, ნატოსა და დაინტერესებული პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის. რეგიონულ დონეზე ტრენინგის შესაძლებლობათა შეთავაზების გზით, ცენტრი ასევე ხელს უწყობს შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებას.

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი ამჟამად „ნატო-საქართველოს ერთობლივი სამხედრო სწავლება-2019“-ის ჩასატარებლად ემზადება. დაწყებულია ასევე სამეთაურო-სამტაბო სწავლების ცენტრის მშენებლობა.

თავდაცვის სფეროში განათლება და სწავლება ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის კიდევ ერთი მთავარი მიზანია. 2016 წელს დაფუძნდა თავდაცვის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის სკოლა, სადაც დაახლოებით 1000 მონაწილისთვის ორმოცზე მეტი ტრენინგი ჩატარდა. ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით ნაბიჯები გადაიდგა ასევე 2016 წლის ივლისში ვარშავაში გამართულ სამიტზე, რომლის მონაწილეებმაც საქართველოს განათლებისა და სწავლების სექტორის, სტრატეგიული კომუნიკაციების, საქართველოს საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო დაზვერვის მიმართ თავიანთი მხარდაჭერა დააფიქსირეს.

დიალოგი და თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მიმართულებით

მოკავშირეებმა ასევე მიიღეს გადაწყვეტილება მიმართონ ძალისხმევას შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. საქართველო რეგულარულად მონაწილეობს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხებზე ნატოს პოლიტიკურ-სამხედრო შეფასებებში. გაძლიერდა კონტაქტები ნატოს საზღვაო ძალების სარდლობასა და საქართველოს სანაპირო დაცვას შორის. მოკავშირეები ახორციელებენ პროგრამებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის გაძლიერების მიზნით.

მონაწილეობა ნატოს ოპერაციებსა და მისიებში

870 სამხედრო მოსამსახურით, საქართველო ავღანეთში ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ რიგით მეოთხე უმსხვილესი კონტრიბუტორია, რომელიც მიზნად ისახავს

ავღანეთის ეროვნული თავდაცვის და უსაფრთხოების ძალებისათვის წვრთნის, კონსულტაციისა და დახმარების გაწევას. საქართველოს ჯარები განლაგებულია ბაგრამის, ქაბულისა და მაზარ-ი-შარიფის ბაზებზე.

ამასთან, საქართველოს მთავრობამ ავღანეთის ეროვნული თავდაცვის და უსაფრთხოების ძალების მიმართ ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულება იკისრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) ოპერაციაში, რომელიც 2014 წლის დეკემბერში დასრულდა. აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილე ნატო-ს არაწევრ პარტნიორ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა.

საქართველო მხარს უჭერს ხმელთაშუა ზღვაში ნატოს კონტრ-ტერორისტულ საზღვაო-სადაზვერვო ოპერაციას „აქტიური ძალისხმევა“, რომელიც 2016 წლის ოქტომბერში ჩაანაცვლა ნატოს საზღვაო ოპერაციამ „ზღვის მცველი“. საქართველო ასევე ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF).